270	არამატერიალური აქტივები	574.35	582.34
280	შელავათიანი მომსახურების აქტივები	-	-
290	ფინანსური იჯარის ფარგლებში მიღებული აქტივები	-	-
300	სხვა არაფინანსური აქტივები	119,654.99	86,907.76
310	სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი აქტივები	223,136.48	188,726.34

სტრიქონის კოდი	ვალდებულებები	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
010	მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები	19,248.69	18,954.13
020	მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	-	-
030	მოკლევადიანი (მიმდინარე) სესხები	-	-
040	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
050	გრძელვადიან ფინანსუ იჯარაზე გადასახდელების მიმდინარე ნაწილი	-	-
060	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულების გრძელვადიანი ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	-	-
070	მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები	2,354.38	2,495.16
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) ანარიცხები	-	-
090	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები	7.91	14.96
100	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	-	-
110	გრძელვადიანი ვალდებულებები	53,841.46	32,443.60
120	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	-	-
130	გრძელვადიანი სესხები	-	-
140	გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური იჯარით	-	-
150	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებით გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
160	გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
170	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები და არაფულადი ვალდებულებები	-	-
180	სულ სახელმწიფოს სახელით აღმინისტრირებადი მთლიანი ვალდებულებები	73,090.15	51,397.73

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	საგადასახადო შემოსავლები	-	-
020	შემოსავლები გრანტებით	702.78	795.36
030	სხვა შემოსავლები	-	-
040	საპროცენტო შემოსავლები	-	-
050	დივიდენდებიდან შემოსავლები	-	-
060	რენტიდან შემოსავლები	73.73	52.47
070	საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	1,908.97	1,774.87
080	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები	-	8.20
090	შემოსავლებიჯარიმებით, სანქციებით და საურავებით	-	-
100	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული	638.16	402.93
110	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	112,674.61	95,327.12
120	სხვა საოპერაციო შემოსავლები	73.73	52.47
130	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით მიღებული სხვა მოგება	-	0.57
140	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან მიღებული მოგება	40.24	-
150	სულ სახელმწიფოს სახელით აღმინისტრირებადი შემოსავლები	116,112.22	98,413.99

სტრიქონის კოდი	ხარჯები	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა
010	შრომის ანაზღაურების ხარჯები	26,745.91	24,442.40
020	საქონლისა და მომსახურების ხარჯები	27,961.37	25,969.46
030	გრანტების და სუბსიდიების ხარჯები	20,722.78	12,587.74
040	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	3,167.08	2,612.82
050	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	889.95	570.14
060	სოციალური დახმარების/უზრუნველყოფის ხარჯები	125.43	107.42
070	სხვა ხარჯები	1.37	1.63
080	საპროცენტო ხარჯები	-	-
090	რენტის ხარჯები	-	-
100	ხარჯები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	10,818.77	9,845.63
110	ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	-	-
120	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-
130	სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-
140	კურსთაშორის სხვაობით და ფლობით წარმოქმნილი სხვა ზარალი	0.02	0.15
150	სხვა ეკონომიკური ნაკადებიდან წარმოქმნილი ზარალი	-	68.64
160	სულ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი ხარჯები	90,432.67	76,206.01

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

შენიშვნა N 0 სააღრიცხვო პოლიტიკები და სხვა განმარტებითი შენიშვნები

1. ინსტრუქციების და სტანდარტების ჩამონათვალი, რის შესაბამისად მომზადდა ფინანსური ანგარიშგება; ასევე, სტანდარტების და ინსტრუქციების ის ჩანაწერები, რომელთა გათვალისწინება ვერ მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების/წარდგენის დროს; ასევე, ამ გადახრების გამომწვევი მიზეზები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ინსტრუქციების:

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის წესის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციები.

ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია;

- სსბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
- სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
- სსბასს 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;
- სსბასს 4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;
- სსბასს 5 – ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები;
- სსბასს 9 – შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან
- სსბასს 12 – მატერიალური მარაგები
- სსბასს 13 – იჯარა;
- სსბასს 14 – ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები;
- სსბასს 17 – ძირითადი აქტივები;
- სსბასს 19 – ანაღრიცხვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები;
- სსბასს 21 – ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება;

სსბასს 23 – შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (გადასახადები და ტრანსფერები);

სსბასს 24 – ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში;

სსბასს 26 – ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება

სსბასს 31 – არამატერიალური აქტივები;

სსბასს 35 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;

სსბასს 36 – ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში;

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მოქმედი სხვა სტანდარტები ბუღალტრულ აღრიცხვაში არ გამოყენებულა.

ანგარიშგების თაღირისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში დასრულებული იყო ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერილობები

სსბასს საფუძველზე დარიცხვის მეთოდით მომზადებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ რესურსების განაწილებაზე გადაწყვეტილების მისაღებად და ასახავს ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, მისთვის მინდობილი რესურსების მიმართ. ეს ინფორმაციებია:

ა) ინფორმაცია, ფინანსური რესურსების წყაროების, განაწილებისა და გამოყენების შესახებ;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ დააფინანსა ერთეულმა თავისი საქმიანობები და როგორ შეასრულა ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) ინფორმაცია, რომელის საფუძველზეც შეიძლება შეფასდეს საბიუჯეტო დაწესებულების ქმედუნარიანობა, დააფინანსოს თავისი საქმიანობები და შეასრულოს დაკისრებული პასუხისმგებლობები და ვალდებულებები;

დ) ინფორმაცია, ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების შესახებ; და

ე) აგრეგირებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით შესაძლებელია მიღწეული შედეგების მიხედვით შეფასდეს საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობა და მიზნობრიობის დაცვა:

- კანონიერად მოხდა თუ არა რესურსების განაწილება და გამოყენება, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;

- მოხდა თუ არა რესურსების განაწილება და გამოყენება იურიდიული და სახელშეკრულებო მოთხოვნების, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი ფინანსური შეზღუდვების შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენის ვალდებულება, აკისრია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახურს.

უზრუნველყოფილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სისრულე. მოიცავს ყველა კონტროლირებული ერთეულის - ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების მიერ დაფუძნებულ და საბიუჯეტო კოდექსით საბიუჯეტო ორგანიზაციად განსაზღვრულ სსიპ-ს და ა(ა)იპ-ების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონსოლიდირებული, სსიპ-ს და ა(ა)იპ-ების ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ერთიანი პრინციპით, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების

მომზადების დროს, დაცულია ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების ყველა კრიტერიუმი, არაარსებითი გამონაკლისების გარდა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო წლის საწყის თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების თარიღს შორის მომხდარი ყველა ეკონომიკური მოვლენა, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- ა) აქტივები;
- ბ) ვალდებულებები;
- გ) წმინდა აქტივები/კაპიტალი;
- დ) შემოსავლები;
- ე) ხარჯები;
- ვ) წმინდა აქტივებში /კაპიტალში განხორციელებული სხვა ცვლილებები;
- ზ) ფულადი სახსრების ნაკადები.

ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კონტროლირებული ერთეულების მიერ საბიუჯეტო ასიგნებები გამოყენებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სახაზინო მომსახურების პრინციპებით განსაზღვრული მოთხოვნები, გადახდების განხორციელების წესებით დადგენილ ეტაპებზე (ვალდებულების რეგისტრაცია, წინასწარი გადახდა, დამოწმება) დაცულია, ხარჯები გაწეულია და ფინანსური ვალდებულებები საანგარიშო პერიოდში აღიარებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნების დაცვით, რაც ითვალისწინებს: - შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია; ასევე ასიგნებების ზევით ფინანსური ვალდებულების აღება დაუშვებელია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა.

საბიუჯეტო თანხების გადახარჯვა არ მომხდარა. ხარჯები არ გაწეულა ასიგნების გარეშე, კანონმდებლობით განსაზღვრული და სახაზინო მომსახურების პრინციპებით დაშვებული გამონაკლისები გამოყენებულია როგორც დარიცხვის მეთოდით ხარჯების აღრიცხვის, ასევე ბიუჯეტის საკასო შესრულების დროს, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული კომუნალური და უწყვეტი მომსახურების ხარჯებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, ანგარიშგებაში მოცემული თითოეული ერთეული მომდევნო საბიუჯეტო წელს გამოყოფილი რესურსებით განაგრძობს ფუნქციების შესრულებას და პროგნოზირებად მომავალში არ იგეგმება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- ბ) ფინანსური შედეგების ანგარიშგებას;
- გ) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- დ) ბიუჯეტისა და რეალური თანხების შედარებას,
- ე) განმარტებითი შენიშვნას.

აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა, რომელიც როგორც სსბასს ასევე მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. საანგარიშო პერიოდში გამონაკლის შემთხვევას ადგილი არ ქონია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად არის ასახული მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები სსბასს განსაზღვრული

კრიტერიუმების მიხედვით. აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული მუხლისათვის ასახულია თანხები, რომელთა მიღება ან დაფარვა მოსალოდნელია:

ა) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არა უმეტეს თორმეტ თვეში (მოკლევადიანი); და

ბ) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტ თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში (გრძელვადიანი).

ინსტრუქციით დადგენილი აუცილებელი მუხლების გარდა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დამატებითი მუხლების წარდგენის საჭიროება არ არის.

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი, როგორც ნამეტი ან დეფიციტი. შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით და გათვალისწინებულია სსბასს მოთხოვნები. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების გარდა, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსური შედეგების ელემენტების ასახვას, არსებითობის ფაქტორის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შინაარსისა და ფუნქციების გათვალისწინებით, დამატებითი მუხლებისა და სახელწოდებების და წარდგენის თანამიმდევრულობის შეცვლის აუცილებლობა არ არის. ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია მთლიანი შემოსავლის ქვეჯგუფი, რომლის დაჯგუფება/კლასიფიკაცია მოხდა ოპერაციების შინაარსის მიხედვით, ხოლო აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია - მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა. ფუნქციების მიხედვით ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის.

შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავალი, კანონმდებლობის საფუძველზე, მოიცავს როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მხარჯავი დაწესებულებების მიერ თავისი საქმიანობის მიზნებისთვის მიღებული ან მისაღები მომსახურების პოტენციალის, ასევე ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ასევე, მხარჯავი დაწესებულებების კონტროლირებული ერთეულების მიერ, თავისი სახელით ან მესამე პირების სახელით ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მისაღები ან მიღებული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია რომ შეფასდეს:

- ავტონომიური რესპუბლიკის ხელისფლების მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარი და

- ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნილებები, ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება და განმარტებები წარმოდგენილია **სსბასს 2 – ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ**, შესაბამისად. სსბასს-დან გადახრა და ფულადი სახსრების აღიარების საფუძველად გამოყენებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ძირითადი პრინციპის - **დამოუკიდებლობა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, როგორც ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო კომპონენტი, მომზადებულია პირდაპირი მეთოდით. ანგარიშგებაში ფულად ნაკადებზე ინფორმაციის საფუძველს წარმოადგენს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებით ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების მაჩვენებლები და სახაზინო ანგარიშებზე შემოსულობებისა და გადასახდელების აღრიცხვის მონაცემები.

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახულია:

- საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი / დეფიციტი;

- სსბასს 3-ის თანახმად სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგები და აღიარებული შეცდომების კორექტირებები, რომლებიც განცალკევებით არის წარმოდგენილი.

ორ საანგარიშგებო თარიღს (საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი და დასასრული) შორის წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებებით ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია წმინდა აქტივების ზრდა ან შემცირება საანგარიშგებო პერიოდში. ანგარიშგებაში ასახულია შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური თანხა, იმ მუხლების ჩათვლით, რომელთა აღიარება ხდება უშუალოდ წმინდა აქტივებში/კაპიტალში, როგორცაა გადაფასებით განპირობებული ზრდა ან შემცირება, უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობები - აღიარებულია პირდაპირ წმინდა აქტივებში/კაპიტალში მომხდარ ცვლილებად.

სსბასს 24 თანახმად, ფინანსური ანგარიშგების ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია საკასო მეთოდის შესაბამისად. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება ინსტრუქციის თანახმად მომზადებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება მომზადებულია საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ფინანსური ანგარიშგებისგან დამოუკიდებლად. ავტონომიური რესპუბლიკის სამეურნეო ოპერაციების შინაარსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადი საქმიანობების აღწერა და შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საბიუჯეტო საქმიანობას, რესპუბლიკური პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საბიუჯეტო დაწესებულებები სსბასს 14 თანახმად ასახავს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოვლენებს. ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. მოვლენები, რომლებზეც ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად, ხოლო მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე – ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებად. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების შემთხვევაში ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში აისახება ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მხოლოდ ისეთი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და მაკონტროლებელი ერთეულის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდში. შემდგომ, ანგარიშგების დამტკიცებისა და სახაზინო სამსახურის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღს შორის პერიოდში, მომხდარი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში არ ხდება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები

სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების ანგარიშგების პერიოდში არ განხორციელებულა.

4. წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები

წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად - იხილეთ ცხრილი N 1, N2.

5. წინა პერიოდ(ებ)ის არაარსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში

წინა პერიოდ(ებ)ის არაარსებითი შეცდომების გასწორება პერსპექტიულად არ განხორციელებულა ანგარიშგების პერიოდში.

6. არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ფინანსური შედეგის წინასწარ შეფასებასთან ერთად, ან შესაბამისი მიზეზების მითითებით, თუ რატომ ვერ მოხერხდა ფინანსური შედეგების წინასწარი განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას არ გამოვლენილა არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენები.

7. ერთჯერადი გადაფასების შედეგად კაპიტალის კორექტირებების აღწერილობები, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტულად, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად.

იხილეთ ცხრილი N3.

8. კაპიტალის სხვა კორექტირებების (ერთეულთა გაერთიანების და ა.შ შედეგად) აღწერილობები, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტულად, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან ერთად.

2025 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად შეიქმმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო. რეორგანიზაციის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ს და ა(ა)იპ -ს გადავიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საწყის ნაშთად არსებული აქტივები და ვალდებულებები დაკორექტირდა. დაკორექტირების შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს კაპიტალი სხვა ცვლილებების შედეგად შემცირდა 96,883.622 ათასი ლარით და ამავე ოდენობით გაიზარდა აჭარის კულტურის სამინისტროს კაპიტალი სხვა ცვლილებების შედეგად.

9. დაკავშირებული მხარეები

- 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირებული ორგანიზაციებია;**
 - 1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური;
 - 1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
 - 1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი;
 - 1.3.1. ა(ა)იპ - ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო;
 - 1.4. სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია;
 - 1.5. სსიპ - ბათუმის ბულვარი;
 - 1.6. ა(ა)იპ - ბათუმის ბიზნესინკუბატორი;
- 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო**
 - 2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტის დეპარტამენტი;
 - 2.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო;
 - 2.3. ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.4. ხელვაჩაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.5. ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.6. ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.7. შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.8. ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
 - 2.9. ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე;
 - 2.10. ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდი;
 - 2.11. ა(ა)იპ ირაკლი თურმანიძის სახელობის ძალოსნობის კომპლექსი.
 - 2.12. სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.
- 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;**
 - 3.1. სსიპ-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
 - 3.2. სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
 - 4.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
 - 4.1.1 სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო;
 - 4.2. სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი;
 - 4.3. ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრი.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.
 - 5.1. ა(ა)იპ - მელიტონ ბალანჩიშვილის ხელოვნების სკოლა;
 - 5.2. ა(ა)იპ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა;
 - 5.3. ა(ა)იპ - რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა;
 - 5.4. ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების სივრცე;
 - 5.5. ა(ა)იპ - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე;
 - 5.6. ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა;
 - 5.7. ა(ა)იპ - ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა;
 - 5.8. სსიპ აჭარის მუზეუმი;
 - 5.9. სსიპ - ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი;
 - 5.10. სსიპ - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "არსიანი";
 - 5.11. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი;
 - 5.12. სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო;
 - 5.13. სსიპ - აჭარის ვოკალური სახელმწიფო ანსამბლი ბათუმი;
 - 5.14. სსიპ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
 - 5.15. სსიპ - აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი;
 - 5.16. ა(ა)იპ - აჭარის მწერალთა სახლი;
 - 5.17. სსიპ იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
 - 5.18. ა(ა)იპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა.

დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ბუნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები წარმოადგენენ მმართველ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ კონტროლსა და ზედამხედველობას მის დაქვემდებარებაში მყოფ საქვეუწყებო დაწესებულებებსა და მის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ) და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (ა(ა)იპ).

დაკავშირებულ მხარეებს შორის ურთიერთობები გამომდინარეობს დამფუძნებლისა და მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილებიდან, რაც მოიცავს ბიუჯეტური სახსრების გამოყოფას, პროგრამების დაფინანსებას, სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას, საქმიანობის კოორდინაციასა და ანგარიშვალდებულების განხორციელებას.

ანგარიშგების პერიოდში დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობები ძირითადად დაკავშირებული იყო საბიუჯეტო დაფინანსების მიღებასა და გადაცემასთან, სახელმწიფო პროგრამების განხორციელებასთან, ადმინისტრაციული და საორგანიზაციო ფუნქციების შესრულებასთან, აგრეთვე სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმიანობასთან.

10. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;

- 1) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - 148.92 ათასი ლარი;
- 2) კომიტეტის თავმჯდომარე (რაოდენობა 4) - 420.48 ათასი ლარი;
- 3) ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 89.86 ათასი ლარი;
- 4) ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 85.43 ათასი ლარი;
- 5) კომიტეტის თავმჯდომარე - 7.00 ათასი ლარი;
- 6) კომიტეტის თავმჯდომარე - 87.18 ათასი ლარი;
- 7) კომიტეტის თავმჯდომარე/უმაღლესი საბჭოს წევრი - 14.67 ათასი ლარი;
- 8) ფრაქციის თავმჯდომარე - 105.12 ათასი ლარი;
- 9) კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე/ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 78.84 ათასი ლარი;
- 10) უმაღლესი საბჭოს წევრი (რაოდენობა 2) - 175.20 ათასი ლარი;
- 11) უმაღლესი საბჭოს წევრი - 12.41 ათასი ლარი;
- 12) უმაღლესი საბჭოს წევრი (რაოდენობა 2) - 31.28 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიის „საანგარიშგებო პერიოდში უსკოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივი სარგო, დანამატები და პრემიები) და განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - 7 კაციანი კოლეგიალური მმართველი ოგანოს უმაღლესი რანგის წევრებზე 2025 წლის განმავლობაში ანაზღაურებამ შეადგინა 525.48 ათასი ლარი.

„საანგარიშგებო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება მოიცავს მოკლევადიან სარგებელს (თანამდებობრივი სარგო, დანამატები და პრემიები) და განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - 2025 წლის განმავლობაში ანაზღაურება შეადგენს 148.92 ლარს.

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია:

- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო: მინისტრი – 105 120 ლარი, მინისტრის მოადგილეები (რაოდენობა 5) – 439.47 ათასი ლარი;
- 2) საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი: დეპარტამენტის უფროსი – 74.99 ათასი ლარი, მოადგილეები (რაოდენობა 3) – 178.99 ათასი ლარი;
- 3) საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი: თავმჯდომარე – 66,34 ათასი ლარი, მოადგილეები (რაოდენობა 3) – 165.86 ათასი ლარი;
- 4) საქვეუწყებო დაწესებულება აჭარის სახაზინო სამსახური: უფროსი – 66.29 ათასი ლარი.

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია:

- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრი - 105.12 ათასი ლარი, მინისტრის პირველი მოადგილე - 91.98 ათასი ლარი და მინისტრის მოადგილეები - 282.82 ათასი ლარი;
- 2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტის დეპარტამენტის უფროსი - 67.34 ათასი ლარი.
- 3) სსიპ - ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის დირექტორი - 32.12 ათასი ლარი, დირექტორის მოადგილეები - 63.22 ათასი ლარი;
- 4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს უფროსი - 66.30 ათასი ლარი;
- 5) ააიპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო: დირექტორი – 57.60 ათასი ლარი;
- 6) ააიპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი: ხელმძღვანელი – 50.40 ათასი ლარი, მოადგილე – 33.29 ათასი ლარი;
- 7) სსიპ ბათუმის ბულვარი: დირექტორი – 66.40 ათასი ლარი, მოადგილეები (რაოდენობა 3) – 156.33 ათასი ლარი;
- 8) სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია: ხელმძღვანელი – 61.44 ათასი ლარი, მოადგილე – 47.11 ათასი ლარი;

9) სსიპ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა: თავმჯდომარე – 50.40 ათასი ლარი, მოადგილეები (რაოდენობა 3) – 103.20 ათასი ლარი.

2025 წელს „საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება მოიცავს მოკლევადიან სარგებელს (თანამდებობრივი სარგო, დანამატები დაპრემიები) და განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - 2025 წლის განმავლობაში ანაზღაურება შეადგენს 623.62 ათას ლარს.

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია:

- 1) მინისტრი - 105.54 ათასი ლარი;
- 2) მინისტრის პირველი მოადგილე - 91.65 ათასი ლარი;
- 3) მინისტრის მოადგილეები (რაოდენობა 5) – 314.91 ათასი ლარი;
- 4) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი - 66.54 ათასი ლარი;
- 5) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე - 58.86 ათასი ლარი;
- 6) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის მოადგილე (რაოდენობა 2) - 107.32 ათასი ლარი;
- 7) სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი - 13.20 ათასი ლარი;
- 8) სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე - 23.34 ათასი ლარი;
- 9) სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე - 11.13 ათასი ლარი;
- 10) სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის დირექტორი - 51.60 ათასი ლარი;
- 11) სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე - 45.60 ათასი ლარი;
- 12) ა(ა)იპ - აგროსერვისცენტრის უფროსი - 55.60 ათასი ლარი;
- 13) ა(ა)იპ - აგროსერვისცენტრის უფროსის მოადგილე - 44.42 ათასი ლარი.

შენიშვნა: უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამინისტროების და უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად.

11. არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით ინფორმაცია:

1. გარკვეულ პირობებს დაქვემდებარებული ტრანსფერით მიღებულ/გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდში კონსოლიდირებული ჯგუფის მიერ გარკვეულ პირობებს დაქვემდებარებული ტრანსფერით მიღებულ ან გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები არ ფიქსირდება.

2. ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივების პირობებს დაქვემდებარებული შეღავათიანი სესხები

საანგარიშგებო პერიოდში კონსოლიდირებულ ჯგუფს არ გააჩნია ტრანსფერით მიღებული ან გადაცემული აქტივების პირობებს დაქვემდებარებული შეღავათიანი სესხებიდან წარმოშობილი ვალდებულებები.

3. შეზღუდვებს დაქვემდებარებული აქტივები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივები, რომლებიც ექვემდებარება არსებით სამართლებრივ, სახელშეკრულებო ან სხვა სახის შეზღუდვებს, არ ფიქსირდება.

4. ნაპატიები ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდში ვალდებულებების პატიების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

12. ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია

1. დამტკიცებულ ბიუჯეტში გამოყენებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდი და საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძვლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსოლიდირებული ბიუჯეტი შედგენილია პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდის საფუძველზე. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობითა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით

დადგენილი ადმინისტრაციული, პროგრამული, ეკონომიკური და ფუნქციური კლასიფიკაციების შესაბამისად.

2. დამტკიცებული ბიუჯეტის პერიოდი

კონსოლიდირებული ბიუჯეტი მოიცავს 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

3. დამტკიცებულ (დაზუსტებულ) ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის არსებითი განსხვავებები

დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით შემოსულობები განისაზღვრა 911,120 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 762,349 ათასი ლარი (83.67%). გადასახდელების ნაწილში დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენდა 911,120 ათას ლარს, ხოლო შესრულებამ – 773,475 ათასი ლარი (84.89%).

არსებითი განსხვავებები ძირითადად გამოწვეულია:

- არაფინანსური აქტივების კლების მუხლში დაგეგმილთან შედარებით დაბალი შესრულებით (3.86%);
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული ეკონომიებითა და გადავადებული შესყიდვებით (71.56%);
- საქონლისა და მომსახურების მუხლში აუთვისებელი რესურსით (82.74%);
- გრანტების მუხლში დაგეგმილთან შედარებით ნაკლები შესრულებით (84.13%).

4. დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის არსებული განსხვავებების განმარტება

საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა ბიუჯეტის კორექტირება, რის შედეგადაც კონსოლიდირებული ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 908,520 ათასი ლარიდან 911,120 ათას ლარამდე, ანუ 2,600 ათასი ლარით. ცვლილება ძირითადად გამოწვეული იყო გრანტების მიღებითა და ცალკეულ საბიუჯეტო მუხლებში რესურსების გადანაწილებით. ბიუჯეტის ზრდა განხორციელდა საქართველოს მთავრობის №2220 (26.12.2025) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №172 განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი 2,600.0 ათასი ლარის მიზნობრივი გრანტის ასახვის შედეგად, რომელიც გათვალისწინებული იყო არასტანდარტული ციტრუსის სუბსიდირების პროგრამის დაფინანსებისთვის.

13. პირობითი ვალდებულებების და პირობითი აქტივების შესახებ ინფორმაცია

სსზასს 19 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს 44-62 პუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ეფექტის შეფასება არ განხორციელებულა, ვინაიდან პირობითი აქტივების არსებობა არ ფიქსირდება.

14. ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური რისკების შესახებ

„კონსოლიდირებულ ნაერთ ანგარიშგებაში მოცემული ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია ლიკვიდობის, ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური მართვის რისკებთან, რომლებიც კონტროლდება მოქმედი ფინანსური მართვის მექანიზმებით.“

15. გამოუყენებელ ნასესხებ თანხებზე და შეზღუდულ ფულად სახსრებსა და ექვივალენტებზე ინფორმაცია

საანგარიშგებო თარიღისთვის გამოუყენებელი ნასესხები თანხები არ ფიქსირდება.

საანგარიშგებო თარიღისათვის კონსოლიდირებულ ანგარიშგებით არ ფიქსირდება შეზღუდული ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრების შემადგენლობაში კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრები შეადგენს 30,300.0 ათას ლარს, თუმცა აღნიშნულ თანხებზე სამართლებრივი ან სახელშეკრულებო შეზღუდვები არ ვრცელდება.

დამატებითი ინფორმაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ისეთი სახის შემოსავლები, რომელთა ადმინისტრირებას, დარიცხვასა და ამოღებას ახორციელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

აღნიშნულ შემოსავლებში შედის:

სახელმწიფო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავლები, როდესაც მიწა განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ არის ავტონომიური რესპუბლიკის სარგებლობაში;

სახელმწიფო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავლები, როდესაც მიწა ავტონომიური რესპუბლიკის სარგებლობაშია;

სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო ქონებასთან;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობებისა და ნაგებობების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, აღნიშნული სახის შემოსავლების 35 პროცენტი მიიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ვინაიდან შესაბამისი ქონება და აქტივები განლაგებულია ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხები ასახულია როგორც სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული მიმდინარე და/ან კაპიტალური გრანტები ფულადი ფორმით, რადგან მათი ადმინისტრირება და ამოღება ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, ხოლო რესპუბლიკურ ბიუჯეტში ირიცხება კანონმდებლობით განსაზღვრული წილი.

წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად -
საბიუჯეტო სახსრები

(ათასი ლარი)

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულება	შენიშვნა	ანგარიში N	თანხა +/-	შინაარსი
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	3	1-13- 4000	1,852.85	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	3	1-13- 9000	10.88	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ ანგარიშის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება, კერძოდ გაიზარდა - 10 816,00 ლარის ოდენობით.- აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოხდა „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები“ საწყისი ნაშთის გადაანგარიშება, კერძოდ გაიზარდა - 67,75 ლარის ოდენობით
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	3	1-19- 2200	-1,941.68	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოვლენილია გასულ წლებში წარმოშობილი და არასწორად აღრიცხული გაუფასურებული დებიტორული დავალიანებები. აღნიშნული ფაქტის შედეგად, რეტროსპექტულად მოხდა კაპიტალის და გაუფასურებული დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშებ
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	6	1-21- 2000	75,075.33	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიშის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	7	1-22- 1200	-39.28	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოხდა „არასაცხოვრებელი შენობების“ ბალანსიდან მოხსნა

04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	1-27- 4100	-700.00	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინა 2024 წელს კურორტ გოდერძიდან (ს/კ 23.14.26.604)-დან გოდერძის უღელტეხილზე (ს.კ.23.14.38.756)-მდე ელექტრო ხაზის სამშენებლო სამუშაოების ექსპლუატაციაში შეყვანა
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	1-27- 4100	348.30	საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „დაუმთავრებელი მშენებლობის“ 1-27-4100 ანგარიშის საწყისი ნაშთი გაზრდა
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	1-27- 4200	700.00	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მოახდინა 2024 წელს კურორტ გოდერძიდან (ს/კ 23.14.26.604)-დან გოდერძის უღელტეხილზე (ს.კ.23.14.38.756)-მდე ელექტრო ხაზის სამშენებლო სამუშაოების ექსპლუატაციაში შეყვანა
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	1-27- 4400	-28.63	
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	14	2-13- 6100	-348.30	საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კრედიტორული დავალიანების ზრდა
05 00	აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტრო	12	1-27- 1300	-5.65	
05 00	აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტრო	4	1-14- 1420	-6.90	
05 00	აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტრო	3	1 13 4600	-4.32	აღსრულების წერილის თანახმად გასულ წლებში დებიტორისგან ამოღებულია თანხა ბიუჯეტის სასარგებლოდ, რითაც შემცირდა მოთხოვნილი გასული პერიოდის შეცდომის გასწორებით.

05 00	აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტრო	3	1 13 9400	2.81	გასულ წლებში ხარჯად აღიარებული და მომწოდებლებისთვის ანაზღაურებული თანხიდან მათ მიერ 2025 წელს ბიუჯეტში დაბრუნებული თანხებით დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთის გადაანგარიშება
05 00	აჭარის არ განათლებისა და სპორტის სამინისტრო	3	1 13 4600	23.41	მომწოდებლისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის კორექტირება, მიღებული აღსრულების წერილის შესაბამისად.
05 00	სპორტის დეპარტამენტი	7	1 28 2220	-0.90	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის დაგროვილი ცვეთის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება
05 00	ა(ა)იპ ირაკლი თურმანიძის სახ. ძალოსნობის კომპლექსი	14	2 13 4100	-0.40	კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთის გადაანგარიშება
07 00	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	7	1-22- 1200	820.31	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს უსასყიდლოდ არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჩაქვის ქუჩა N1-ში მდებარე 13042 კვ.მ არასოსფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მათზე განლაგებული შენობა ნაგებობები 2056,70 კვ.მ. (ს/კ 05.33.22.165)
07 00	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	7	1-22- 1300	4.94	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს უსასყიდლოდ არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჩაქვის ქუჩა N1-ში მდებარე 13042 კვ.მ არასოსფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მათზე განლაგებული შენობა ნაგებობები 2056,70 კვ.მ. (ს/კ 05.33.22.165)
07 00	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	7	1-22- 1500	5,403.00	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრს უსასყიდლოდ არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ჩაქვის ქუჩა N1-ში მდებარე 13042 კვ.მ არასოსფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მათზე განლაგებული შენობა ნაგებობები 2056,70 კვ.მ. (ს/კ 05.33.22.165)

07 00	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	4	1-14- 1420	43.87	ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“ უსასყიდლოდ გადმოეცა ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრისგან“ უძრავი/მოძრავი ქონება (მ/ზ აგრო-02/1503 8.08.2019წ) . დოკუმენტის ტექნიკური ხარვეზის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში რმის შეგროვებისთვის საჭირო მათარა შეცდომით ასახული იყო ერთეულის ღირებულებებით, კერძოდ: 40 ლტ-იანი 75 ცალი - 263.14 ლარით, ხოლო 25 ლტ-ანი მათარა ასახულია ერთეულის ღირებულებით - 259.60 ლარით, სულ: 522,74 ლარით, ნაცვლად ღირებულებისა - 44197,50 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელდა 43 874.76 ლარით საწყისი საბალანსო მონაცემების რესტროსპექტულად შესწორება
07 00	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	14	2-13- 6100	0.94	რეტროსპექტიულად გასწორდა კრედიტორული დავალიანება (აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებული გეგმიური ინვენტარიზაციის შედეგების განხილვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ 16.01.2026წლის #1 სათათბირო ოქმის დადგენილება)
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	14	2-13- 4100	3.20	არასწორად აღრიცხული კრედიტორი შენიშვნა 14 ში 2-13-4100 საბალანსო ანგარიშის წინა წლის ნაშთი მოიცავს 2023 წლის დეკემბრის თვეში დარიცხულ 22311-საფოსტო ხარჯი ,2281-საწვავის ხარჯი და 22310-კავშირგაბმულობის ხარჯი სულ ჯამში 3196,3 ლარი, აღნიშნული დავალიანება გადახდილია 2024წელს, რაც პროგრამას საკასო მეთოდით ავტომატურ რეჟიმში უნდა აესახა, ხარვეზის გამო მოხდა საკასო ხარჯზე დარიცხვის მიზმა რამაც გააორმაგა ხარჯი, აუცილებელია განხორციელდეს აღნიშნული ხარჯის კორექტირება შემდეგი საბუღალტრო ჩანაწერებით:
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	7	1-22- 2220	20.02	კორექტირებას ექვემდებარება 1-22-2220 საბალანსო ანგარიში, კერძოდ: საბალანსო ანგარიშზე რეალურად სახელობით რეგისტრებზე აღრიცხულია 238 732,58 ლარის ძირითადი საშუალებები, ხოლო 2024 წლის ბალანსის საწყის ნაშთშიშეცდომით ტექნიკური ხარვეზის გამო ასახული ჩანაწერი შეადგენს 218 711ლარს, სხვაობა შეადგენს 20 022 ლარს,აღნიშნული თანხით საბუღალტრო ჩანაწერებისა და საბალანსო მონაცემების რეალური სიზუსტით ასახვის მიზნით საჭიროა წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშება

08 00	სსიპ "ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი"	14	2-13-2100	-0.62	პირად ბარათზე რიცხული კრედიტორის გასწორება აისახა შენიშვნა 14
08 00	სსიპ "აჭარის ვოკალური სახელმწიფო ანსამბლი ბათუმი"	3	1-13-2000	26.62	პირად ბარათზე რიცხული ზედმეტობის აღრიცხვა აისახა შენიშვნა 3
08 00	ა(ა)იპ მ. ბალანჩიშვილის ხელოვნების სკოლა	3	1-13-2000	1.25	პირად ბარათზე რიცხული ზედმეტობის აღრიცხვა აისახა შენიშვნა 3
08 00	ა(ა)იპ რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლა	5	1-15-1000	-2.10	შენიშვნა 5 ავანსი ჩამოიწერა წინა წელს არ აისახა ბალანსში
08 00	ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა	14	2-15-2000	66.75	შენიშვნა 14 -ავანსი დამოწმდა წინა წელს რაც ბალანსი არ აისახა 25616ლარი. ფორმა 3ში პირადი ბარათის გასწორება 41137ლარი
08 00	ა(ა)იპ ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა	3	1-13-2000	7.84	პირად ბარათზე რიცხული ზედმეტობის აღრიცხვა აისახა შენიშვნა 3
08 00	ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე	3	1-13-2000	3.41	პირად ბარათზე რიცხული ზედმეტობის აღრიცხვა აისახა შენიშვნა 3

08 00	ა(ა)იპ ვ. ჭაბუკიანის სახ. კლასიკური ბალეტის სკოლა	3	1-13- 2000	0.04	პირად ბარათზე რიცხული ზედმეტობის აღრიცხვა აისახა შენიშვნა 3
				81,336.98	

წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად - საკუთარი სახსრებით.

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულება	შენიშვნა	ანგარიში N	თანხა +/-	შინაარსი
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	1-27-4200	7.95	ააიპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორმა მოახდინა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილი“ 1-27-4200 ანგარიშის საწყის ნაშთი გაზრდა
07 00	სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	14	2-13-2300	18.00	რეტროსპექტულად გასწორებულია არასწორად აღრიცხული ვალდებულება. 2024 წლის ქონების გადასახადი უნდა აღრიცხულიყო 2025 წლის პირველ კვარტალში ნაცვლად 2024 წლის მეოთხე კვარტლისა. აღნიშნული შეცდომა გასწორდა 2025 წლის 31 მარტს გატარებით - დ 2-13-2300 კ 3-22-2200 18001,83 ლარი.
07 00	სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	14	2-13-2400	0.27	რეტროსპექტულად გასწორებულია არასწორად აღრიცხული ვალდებულება." დამატებითი ღირებულების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებების" 2-13-2400 ანგარიშზე 2024 წლის საბოლოო ნაშთი აღირიცხა 266,81ლარი. "დამატებითი ღირებულების გადასახადით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებების" 2-13-2400 ანგარიშზე 2024 წლის ბოლოს ნაშთი არ უნდა დარჩენილიყო . აღნიშნული შეცდომა გასწორდა 2025 წლის 31 მარტს გატარებით - დ 2-13-2400 კ 3-22-2200 266,81 ლარი.
07 00	სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	3	1-13-2400	11.39	რეტროსპექტულად გასწორებულია არასწორად აღრიცხული მოთხოვნა."დამატებითი ღირებულების გადასახადით მოთხოვნების" 1-13-2400 ანგარიშზე 2024 წლის ბოლოს ნაშთი არ ირიცხებოდა. დამატებითი ღირებულების გადასახადით მოთხოვნებმა კი შეადგინა 11386,32 ლარი. აღნიშნული შეცდომა გასწორდა 2025 წლის 31 მარტს გატარებით დ 1-13-2400 კ3-22-2200 11386,32ლარი.

07 00	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	3	1-13-4600	203.05	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოსა და რომან მიქელაძეს შორის 06/05/2022წ. გაფორმებული სახელმწიფო ტყის ფართობის გძელვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ №09/622 ხელშეკრულება, ქედის სატყეო ადმინისტრაციის, ცხმორისის სატყეოს კვარტალი №45-ის ლიტერ 21-ში მდებარე 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ №21.06.34.702) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებით, 20 (ოცი) წლის ვადით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო.
07 00	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო	3	1-13-9600	8.61	სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოსა და რომან მიქელაძეს შორის 06/05/2022წ. გაფორმებული სახელმწიფო ტყის ფართობის გძელვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ №09/622 ხელშეკრულება, ქედის სატყეო ადმინისტრაციის, ცხმორისის სატყეოს კვარტალი №45-ის ლიტერ 21-ში მდებარე 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ №21.06.34.702) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულებით, 20 (ოცი) წლის ვადით. ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი იჯარის საფასური
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	14	2-13-2000	99.69	კორექტირებას ექვემდებარება შენიშვნა 14 ში 2-13-2000 საბალანსო ანგარიშზე არასწორად აღრიცხული კრედიტორული დავალიანება 99689ლარი, ვინაიდან აღნიშნულ საბალანსოზე აღირიცხება დღგ კრედიტორული დავალიანება. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდიდან მიღებული შედარების აქტი ორგანიზაციას პირად ბარათზე ერიცხება ზედნეტობა , რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შემცირდეს კრედიტორი და აღირიცხოს დებიტორული მოთხოვნა.
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	3	1-13-2400	44.03	კორექტირებას ექვემდებარება შენიშვნა 3 ში საბალანსო ანგარიშზე არასწორად აღირიცხა დებიტორული დავალიანება დღგ კრედიტორული დავალიანება. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდიდან მიღებული შედარების აქტი ორგანიზაციას პირად ბარათზე ერიცხება ზედნეტობა , რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შემცირდეს კრედიტორი და აღირიცხოს დებიტორული მოთხოვნა.
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	3	1-13-6000	-66.73	არასწორად აღრიცხული დებიტორული დავალოანების კორექტირება
08 00	სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	7	1-28-2220	1.15	კორექტირდება დაგროვილი ცვეთა, კერძოდ 2024 წლის ბალანსში მითითებულია 81 296ლარი , ხოლო საინვენტარო ჩანაწერებით დაგროვილი ცვეთა შეადგენს 80 149 ლარს, მათ შორის სხვაობა 1147ლარი ექვემდებარება კორექტირებას, რაზედაც შესრულდება შემდეგი საბუღალტრო ჩანაწერი

08 00	სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახ. თეატრი	14	2-13-2400	2.54	პირად ბარათზე რიცხული კრედიტორის გასწორება აისახა შენიშვნა 14 დღე
08 00	სსიპ აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახ. აკადემიური ანსამბლი არსიანი	14	2-13-2400	4.68	პირად ბარათზე რიცხული კრედიტორის გასწორება აისახა შენიშვნა 14 დღე
				334.62	

ერთჯერადი გადაფასების შედეგად კაპიტალის კორექტირებების აღწერილობები, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტულად.

(ათასი ლარი)

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულება	შენიშვნა	თანხა +/-	შინაარსი
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	7	5,291.68	კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული „მიწის ნაკვეთების“ გადაფასება. შედეგად, რეტროსპექტულად მოხდა კაპიტალის და ძირითადი აქტივის გადაანგარიშება, კერძოდ: „მიწა საკუთარი მიწნებისათვის
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	7	290.94	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოხდა „სატრანსპორტო საშუალებების“ გადაფასება. შედეგად, რეტროსპექტულად მოხდა კაპიტალის და ძირითადი აქტივის გადაანგარიშება, კერძოდ: „სატრანსპორტო საშუალებების“ 1-22-2100 ანგარიში საწყისი ნაშთი გაიზარდა
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	2,017.27	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული „აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემადაა მიღებული/განკუთვნილის“ გადაფასება.
04 00	აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12	24,514.35	აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოახდინა ქონების შეფასება / გადაფასება.
			32,114.25	

Mzevinar
Sharadze
61006010406

Digitally signed by
Mzevinar
Sharadze
Date: 2026.06.09
10:38:13

Zurab
Ghomidze
61001016990

Digitally signed
by Zurab
Ghomidze
Date: 2026.06.09
10:39:45

THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF
THE A R OF
AJARA

Digitally signed by
THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF THE A
R OF AJARA
Date: 2026.06.09
10:41:46 +04'00'